დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „სადუნი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202063480

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	არა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, დავით ბაქრაძის ქ N15
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, დავით ბაქრაძის ქ N15
საფოსტო ინდექსი	0119
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.saduni.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	schoolsaduni@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2345673
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	გიორგი ცინცაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599045445
ელ-ფოსტა	giotsintsadze@gmail.com

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება N162610 და 2020 წლის 6 თებერვლის N141689 ბრძანება - გეგმიური
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე, თავმჯდომარე; მაკა კაჭკაჭიშვილი, წევრი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	2020 წლის 11, 12 თებერვალი
დასკვნის მომზადების თარიღი	2020 წლის 4 მარტი
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	2020 წლის 5 მარტი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს დღის მეორე ნახევარში, გაკვეთილების შემდეგ, მოსწავლეებისთვის საშინაო დავალების მომზადებაში დახმარების გაწევა. გარდა ამისა, დღის მეორე ნახევარში ხდება დღის მანძილზე გამოვლენილი სასწავლო პრობლემების, ასევე გაცდენების გამო სწავლაში ჩამორჩენის აღმოფხვრა. ამ მიზნით სკოლაში მორიგეობენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მათთან მოსწავლეთა ვიზიტებს ორგანიზებას უწევს კლასის მეთვალყურე (იგივე დამრიგებელთა), რომელიც დღის მანძილზე აკვირდება თავისი კლასის მოსწავლეების ქცევასა და სასწავლო აქტივობებს, მათ შორის გაკვეთილზე დასწრებითაც და იცის ყველა მოსწავლის წარმატებისა და პრობლემების შესახებ. სკოლის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს სამი უცხოური ენის სწავლება, რომელთაგან ორი ენის (ინგლისური და რუსული) სწავლება სავალდებულოა, ხოლო მესამე ენას მოსაწვლე სამი შეთავაზებიდან (გერმანული, ფრანგული, ესპანური) ირჩევს მისთვის სასურველს. ამასთან ერთად, სკოლის ფიზიკური და ესთეთიკური აღზრდის კათედრა ხშირად ახორციელებს სხვადასხვა სახის სახელოვნებო და შემოქმედებით პროექტებს, რომლებშიც სასკოლო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დაწესებულების მისია	შპს ,,სადუნის“ უპირველესი მიზანია თითოეული მოსწავლის ინტელექტუალური და მორალურ-ზნეობრივი აღზრდა, რომელიც ეფუძნება სწავლა-აღზრდის ფუნდამენტურ პრინციპებს და გულისხმობს ტრადიციებისა და სიახლეების მეთოდურ სინთეზს. მისიის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად ათვისებას; მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, სამართალშემწყნარებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას. სკოლის მისიაა მოსწავლეებმა მიიღონ განათლება, და განივითარონ ის უნარები, რომლებიც დაეხმარებათ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და პოტენციალის რეალიზებაში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ანალიტიკური აზროვნების უნარი, მოსწავლეს შეეძლოს გუნდური მუშაობის წარმართვა, განვითარდეს მრავალმხრივად და იყოს კანონმორჩილი, პატრიოტი და ტოლერანტი მოქალაქე. სკოლა მოსწავლეს უქმნის შემოქმედებით და თანამშრომლობით გარემოს, რაც ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას. სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, მოსწავლეს უვითარებს კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემას. სკოლის პრიორიტეტებია სახელოვნებო, ლინგვისტური და შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. იგი სთავაზობს მოსწავლეებს უცხო ენების მრავალფეროვან არჩევანს:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და რუსული ენები; სკოლაში ფუნქციონერებს მრავალი კლუბი. კლუბების მიზანია, ყველანაირი ინტერესის მქონე მოსწავლეს მისცეს საშუალება, მისთვის საყვარელ სფეროში მიიღოს უფრო ღრმა განათლება. მისიის განხორციელება მოწმდება პერიოდულად, პედაგოგიური საბჭოს სურვილის შემთხვევაში. მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პედაგოგიური საბჭოს სურვილით. სკოლაში სწავლა და სწავლება ეფუძნება გუნდურობის პრინციპს, ჩვენი დევიზია - ,,ვსწავლობთ ერთად და ერთმანეთისგან“.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა „სადუნში“ საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე, ერთ ცვლაში. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია პედსაბჭოს მიერ 2019 წლის 6 სექტემბერს (N1 ოქმი) და დამტკიცებულია შპს „სადუნის“ გენერალური დირექტორის 2019 წლის 06 სექტემბრის N 1-83 ბრძანებით. სკოლის მისია დამტკიცებულია 2018 წლის 10 სექტემბრის N 1-85 ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სასწავლო კალენდარი არდადეგებისა და უქმე დღეების მითითებით, გაკვეთილების ხანგრძლივობა, რომელიც I-XII კლასებში შეადგენს 40 წუთს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სკოლას ნებართვა არ სჭირდებოდა გაკვეთილის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, სკოლამ მაინც შეატყობინა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სამინისტროს ამის შესახებ, რაზეც სამინისტრომაც დაუდასტურა თავისუფლება გაკვეთილის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის MES 71701160084 წერილი - **დანართი 1**); შპს სკოლა „სადუნში“ სასკოლო სასწავლო გეგმით 2019-2020 სასწავლო წელს კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 25 მოსწავლით. მისიიდან გამომდინარე, რომელიც დეკლარილებას აკეთებს ლინგვისტური მიმართულების პრიორიტეტზე და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით I-XI კლასში პირველ და მეორე უცხოურ (ინგლისურ და რუსულ) ენაში იქმნება განაყოფები, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 16-ს. ამასთან, მეორე და დამატებით - მესამე - უცხოური ენების შესწავლას სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სქემით ახორციელებს. კერძოდ, პირველი უცხოური ენა - ინგლისური - ისწავლება I-XII კლასებში; მეორე უცხოური ენა - რუსული - I-X კლასებში, ხოლო დამატებით, მესამე უცხოური ენა - V-IX კლასებში, რომლის სწავლებაც სავალდებულოა. თუმცა მოსწავლე ირჩევს ერთ-ერთს შემდეგი უცხოური ენებიდან: გერმანული, ფრანგული, ესპანური. აღსანიშნავია, რომ მეორე უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით სკოლამ ნებართვა მიიღო განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან 2019 წლის 30 ივლისის MES 9 19 00999607 წერილით **(იხ. დანართი 2)**. გარდა ამისა, სკოლამ სამინისტროსთან შეათანხმა მისთვის სასურველი სახელმძღვანელოები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პირველ უცხოურ ენა ინგლისურში, რომლის შესახებ სამინისტრომ 26.08.2019 წლის MES 9 19 01086096 წერილით **(იხ. დანართი 3)** ამცნო, რომ წინააღმდეგი არ არის სკოლამ გამოიყენოს მისთვის სასურველი სახელმძღვანელოები, რომლებიც საფეხურის სტანდარტის დონეებზე დაფუძნებით არის შემუშავებული. სკოლის სასწავლო გეგმით, ასევე, განსაზღვრულია ჭადრაკის სწავლება II-V კლასებში და პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის განხორციელება IX კლასში 8 საათი, ხოლო XI კლასში - 4 საათი. ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებულია სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. როგორებიცაა: სტუმრობა „იფქლის“ საწარმოში, სტუმრად კომპანია „ლუტეციაში“, ვიზიტი უზენაეს სასამართლოში, შეხვედრა ბათუმის დინამოს მთავარ მწვრთნელთან, შეხვედრა ქირურგთან და სხვა. მე10, მე-11 და მე-12 კლასებში არჩევითი საგნებიდან სკოლას არჩეული აქვს „მსოფლიო კულტურა“, „მეწარმეობის საფუძვლები“ და „გარემო და მდგრადი განვითარება“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს MES 71701160084 წერილი - დანართი 1, 1 ფურცლად;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 30 ივლისის MES 9 19 00999607 წერილი - დანართი 2, 1 ფურცლად; განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 26.08.2019 წლის MES 9 19 01086096 წერილი წერილი - დანართი 3, 1 ფურცლად.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს ყურადღების მიღმა და საშუალება მისცენ თითოეულ მოსწავლეს მიიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები ყველა საგანში და გაიაზრონ საგნის ღირებულებები. ამ მიზნით, სკოლის დღის რეჟიმით, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გათვალისწინებულია ე.წ. „სამეცადინო საათი“, რომლის დროსაც თითოეული კლასის კურატორი (დამრიგებელი) მოსწავლეებს ეხმარება გაკვეთილების მომზადებაში. იგი ან თავად უწევს კონსულტაციას ან გადაამისამართებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შესაბამისი საგნის მასწავლებელთან. აღსანიშნავია, რომ „სამეცადინო საათამდე“ I-VII კლასის მოსწავლეებს სკოლა ასადილებს სხვადასხვა პერიოდულობით, ხოლო უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვის სადილობისთვის გამოყოფილია დრო და ისინი დამოუკიდებლად იკვებებიან სკოლის ბუფეტში. გარდა აღნიშნულისა, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტის დაფარვის და შემოწმების მიზნით, სკოლაში, სემესტრში ერთხელ, ტარდება მოულოდნელი ტესტირებები ე.წ. „ადმინისტრაციული წერები“, რომელშიც მიღებული შეფასებები ფიქსირდება როგორც მიმდინარე შეფასება. გარდა ამისა, სკოლაში VII-XI კლასებში ტარდება წლიური გამოცდები, რომელში მიღებულ ნიშანსაც, სემესტრულ ნიშნებთან ერთად, გავლენა აქვს წლიურ ნიშანზე. ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგების შემოწმებას ემსახურება შემაჯამებელი წერებიც. შემაჯამებელი წერის შემდეგ მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელი წერების ანალიზს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 7 საგნობრივი კათედრა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; მათემატიკისა და ისტ-ის; საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების; ინგლისური ენის; უცხოური ენების; სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის და კლასის მეთვალყურეთა (დამრიგებელთა) კათედრა). ყველა კათედრას შემუშავებული აქვს შემაჯამებლის ანალიზის ერთიანი ფორმა, რომელშიც მითითებულია სტანდარტის ის შედეგი, რომლის შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება, ასევე წრითი დავალების შეფასების კრიტერიუმები. ანალიზთან ერთად

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მასწავლებლებს კათედრაზე წარდგენილი აქვთ მოსწავლეთა შეფასების შედეგები შემაჯამებელ დავალებაში და მოსწავლის მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ გასწორებული დავალების ნიმუში. აღსანიშნავია, რომ შემაჯამებლის ანალიზი შემოიფარგლება მხოლოდ კლასის საშუალო ნიშნის გამოთვლით და ამ საშუალო ნიშნის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რა გაუჭირდა კლასს და რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა მომავალში **(იხ. დანართი 4).**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შემაჯამებლი დავალების ანალიზი - დანართი 4, - 8 ფურცლად; მასწავლებლებთან ფოკუს-ჯგუფი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის და მიმართულების კლუბები და წრეები, რომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გამოავლინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები. მშობელთა ფოკუს ჯგუფის დროს რამდენიმე მშობელმა აღნიშნა, რომ თურმე მის შვილს მუსიკალური სმენა ჰქონია და ეს სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრის მიერ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დაგეგმილი სხვადასხვა სახის ღონისძიების განხორციელების დროს გამოჩნდა, რომელშიც მისი შვილიც იღებდა მონაწილეობას. სკოლაში ფუნქციონირებს: მეტყველების კლუბი (I-VI კლასები), წიგნის მოყვარულთა კლუბი (I-IV კლასები), სახალისო მათემატიკის კლუბი (I-VI კლასები), შემოქმედებითი წერის კლუბი (III-VI კლასები), ფსიქოლოგის საათი (I-II კლასები), სადამრიგებლო საათი (I-XI კლასები). ხშირად იმართება ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?. გარდა ამისა, წინა პუნქტში აღწერილი სამეცადინო საათი, I-XI კლასის მოსწავლეებისთვის, ყველა მოსწავლეს აძლევს თანაბარი განვითარების შესაძლებლობას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პრინციპები. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, რომელიც შეფასებულია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, დადგენილია სასწავლო საჭიროებები, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფი (ისგ ჯგუფი) და შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სკოლაში არის ხუთდონიანი და ათქულიანი შეფასების სისტემა. კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი 5,0 ქულაა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდები. 2019-2020 სასწავლო წელს წლიური გამოცდა ჩატარდება მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურზე VII-XI კლასებში. • VII კლასი - ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა. • VIII კლასი - ისტორია, ფიზიკა; • IX კლასი - მათემატიკა, ქიმია; • X კლასი - ბიოლოგია, გეოგრაფია. • XI კლასი - ქიმია, ფიზიკა. წლიური გამოცდები ჩატარდება 2019-2020 სასწავლო წლის დასრულებამდე 2 კვირის განმავლობაში. წლიური გამოცდის ქულას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულის გამოთვლისას, წლიური გამოცდის ქულა დაემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი გაიყოფა სამზე. საგნის პედაგოგი ვალდებულია გამოცდამდე დაუნიშნოს კლასს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საინფორმაციო შეხვედრა. წლიურ გამოცდას არ ჩააბარებენ სსსმ მოსწავლეები, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ. სკოლაში ტარდება ტესტირებები: VI კლასში, ჩატარდება ტესტირება შემდეგ საგნებში: • მათემატიკა; • ქართული ენა და ლიტერატურა. VI კლასის მოსწავლეების მიერ მიღებული ქულა საკლასო ჟურნალში დაფიქსირდება მიმდინარე ნიშნად. ტესტირების მიზანია მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და სასწავლო პროცესის მხარდაჭერა. ტესტირებაზე მიღებულ ქულას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე, რადგან მოსწავლის მიერ მიღებული ქულა საკლასო ჟურნალში დაფიქსირდება მიმდინარე ნიშნად. სკოლაში ასევე ტარდება: ა) მისაღები სარეკომენდაციო ტესტირება/გასაუბრება (სხვა სკოლიდან გადმოსვლის მსურველი მოსწავლეთათვის); ბ) ადმინისტრაციული წერა - საბაზო და საშუალო საფეხურზე გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესის დიაგნოსტიკის მიზნით ჩატარებული ტესტირება. აღნიშნულ ტესტირებაზე მიღებული შეფასება ფორმდება როგორც მიმდინარე საკლასო დავალების ნიშანი. საშემოდგომო გამოცდა ინიშნება, თუ მოსწავლის წლიური შეფასება ნაკლებია 5,0-ზე 2019/2020 სასწავლო წელს საშემოდგომო გამოცდა ჩატარდება 2020 წლის 29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს. გამოცდაზე მიღებული ქულა გახდება საგნის წლიური ქულა. სკოლაში შემუშავებულია შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც გამოკრულია კლასებში. მშობელთათვის სასკოლო სასწავლო გეგმისა (მათ შორის შეფასების კრიტერიუმების) და შინაგანაწესის გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, რაც დასტურდება გაცნობის დამადასტურებელი ხელმოწერებით. მოცემულ აქტივობებში განმსაზღვრელი შეფასებები განმავითარებელ შეფასებებთან ერთად გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაზომად და გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა; სასკოლო გეგმისა და შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებელი მშობელთა ხელმოწერები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს შპს „სადუნის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება. დებულებით განსაზღვრულია მშობლისა და სკოლის/კლასის კოორდინატორის (დამრიგებლის) უფლებები და მოვალეობები, რომელიც ასევე მოცემულია სკოლასა და მშობელს შორის დადებული მომსახურეობის ხელშეკრულებაში. დებულების მიხედვითაც, მშობელთან გეგმიური შეხვედრები გათვალისწინებულია წელწადში სულ მცირე ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და დასასრულს. გარდა ამისა, მშობლის/ადმინისტრაციის სურვილის შემთხვევაში, კლასის კოორდინატორი (დამრიგებელი) უზრუნველყოფს ინდივიდუალური შეხვედრის ორგანიზებას. მშობელს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მისთვის სასურველი ფორმით (სატელეფონო ზარი, SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, წერილის გაგზავნა). ამის გარდა, სკოლაში არის „განცხადებების დაფა“, საიდანაც მშობელი იღებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე და სკოლასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. მშობლებმა და მასწავლებლებმა ფოკუს-ჯგუფის დროს ახსნეს, რომ არსებობს არაფორმალური კავშირები სოციალური ქსელის მეშვეობით, რომელსაც აქტიურად იყენებენ მშობლები და მასწავლებლები. ყველა მშობელს,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს აქტიურად ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში მისთვის სასურველი დოზითა და პერიოდის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „სადუნის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება; ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან; ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმისა და გაუმჯობესების მექანიზმი, რომლის პრეამბულაში გაცხადებულია, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „**დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე**“. **დაგეგმე** - ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვა, რაც გულისხმობს სასწავლო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პროცესის პერიოდულობის, თანმიმდევრობის, შეფასების კრიტერიუმებისა და შემფასებლის ვინაობის განსაზღვრას. **განახორციელე** - დაგეგმილი აქტივობების განხორციელება შესაბამის ვადებში. **შეამოწმე** - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირების მიერ, მეორე ეტაპზე განხორციელებული ღონისძიებების შედეგების გაანალიზება, ნაკლოვანებების, ხარვეზების აღმოჩენა და წამოჭრილი პრობლემების განხილვა. **განავითარე** - გამოვლენილი ხარვეზების მიზეზების განსაზღვრა, მათი აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის ადმინისტრაციისთვის წარდეგნა. გარდა ამისა, სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ხორციელდება მშობელთა, მოსწავლეთა, პედაგოგთა გამოკითხვა და გაკვეთილების შეფასების ანალიზი. მონიტორინგის ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე. აღნიშნული ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. 2019/2020 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაზე მუშაობა სკოლამ ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყო. 2019 წლის 18 ივნისის პედსაბჭოს N5 ოქმში დღის წესრიგის მე-3 საკითხად განსაზღვრულია 2018/19 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი; მშობელთა, მოსწავლეთა და პედაგოგთა კითხვარები;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გაკვეთილზე დასწრებისა და ანალიზის ფორმები; 2019 წლის 18 ივნისის პედსაბჭოს N5 ოქმი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	უმჯობესია, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი სკოლამ გააკეთოს თითოეული მოსწავლის მიერ ესგ-თი განსაზღვრულ მისაღწევ დონეებთან მიმართებით (და არა მთელი კლასის საშუალო ქულით). ასეთ შემთხვევაში, უკეთ გამოჩნდება თითოეული მოსწავლის სასწავლო საჭიროება სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევ დონეთა დასაძლევად და აქედან გამომდინარე, პრობლემათა აღმოსაფხვრელად მიმართული ინტერვენცია იქნება მიზანმიმართული და ეფექტური.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მდებარეობაა თბილისი, დავით ბაქრაძის ქუჩა N15. სკოლა ფლობს მიწის ნაკვეთს ფართით 6152 კვ.მ. და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს. მიწის ნაკვეთი შემოღობილია რკინის ღობით და იზოლირებულია გარე ტერიტორიისგან. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ფიქსირდება ექვსი შენობა ნაგებობა. რეალურად, ექვსივე შენობა წარმოადგენს ერთ მთლიან კომპლექსს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ერთსართულიანი გადასასვლელებით (N3 და N4 შენობა) და მიშენებით (N6 შენობა). ძირითადი შენობები ორსართულიანი (N1 და N2) და სამსართულიანია (N6). შენობათა საერთო ფართია 4045,8 კვ.მ. მათგან სარდაფის ფართია 1131 კვ.მ., ხოლო დანარჩენი 2914,8 კვ.მ. სამივე სართულის საერთო ფართია. ამას ემატება შენობათა შორის მოქცეული ფართი (შუა ეზო), რომელიც გადახურილია და გამოიყენება სასადილო დარბაზის დანიშნულებით. ამით კიდევ უფრო იზრდება სკოლის მიერ მოხმარებული ფართი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „სადუნი“, როგორც კომერციული კომპანია, სკოლის გარდა ფლობს ბაგა-ბაღსაც, რომელიც

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ფუნქციონირებს ამავე შენობათა კომპლექსის შემადგენელი ერთ-ერთი შენობის (N2 შენობის) პირველი და მეორე სართულის ნაწილში. ბაგა-ბაღი სარგებლობს იმავე შესასვლელით, რომლითაც სკოლა და იყენებს სასკოლო დერეფნის ნაწილს. ბაგა-ბაღს შესაძლებლობა აქვს შენობაში შევიდეს სხვა შესასვლელით, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ეზოს ნაწილი იქნება სკოლასთან საზიარო სარგებლობაში. სკოლამ წარმოადგინა სკოლის და ბაღის ფართების გამიჯვნის შიდა ბრძანება **(იხ. დანართი 8**), რომლის მიხედვითაც საერთო 4045,8 კვ.მ ფართიდან სკოლას დათმობილი აქვს 3372.91კვ.მ, ხოლო ბაღს 672,89 კვ.მ. საბოლოოდ, სკოლის 3372,91 კვ.მ ფართიდან 1131 კვ.მ სარდაფის ფართია და სკოლის სარგებლობაში რჩება **2241,91 კვ.მ.**.
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, დავით ბაქრაძის ქუჩაN15
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.13.06.004.023**
კვ.მ.	**2241,91**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - (დანართი 5, სამ ფურცლად); საკადასტრო გეგმა - (დანართი 6), ერთ ფურცლად; შიდა აზომვითი ნახაზი - (დანართი 7, სამ ფურცლად);

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ფართების გამიჯვნის ბრძანება 21.06.2016 N1-616 - დანართი 8, ერთ ფურცლად).
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სადუნს“ აქვს 34 საკლასო ოთახი (აქედან 24 გამოიყენება სრული კლასისათვის, ხოლო 10 - განაყოფისათვის), 1 ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურსოთახი, სააქტო და საკონფერენციო დარბაზები, სამედიცინო ოთახი, სასადილო სივრცე, სპორტული დარბაზი. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლის 615 ინდივიდუალური სასკოლო მერხი და 608 სკამი, 34 დაფა. საკლასო ოთახებში გამოკრულია სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი, პოსტერები, რუკები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალურად;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მერხებისა და სკამების შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელშიც განთავსებულია ჩოგბურთის 2 მაგიდა, ფრენბურთის ბადე და ტატამი. სკოლის მფლობელობაშია შემდეგი სპორტული ინვენტარი: 6 ფეხბურთის და 4 კალათბურთის ბურთი, ფრენბურთის 2 ბადე, მაგიდის ჩოგბურთის 4 ჩოგანი და 6 ბურთი. ამასთანავე, სკოლას აქვს სპორტული მოედანი, კალათბურთისა და ფეხბურთისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შესყიდვის დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ლაბორატორიული კლასი, რომელიც აღჭურვილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტით. გარდა ამისა ლაბორატორიაში არის კომპიუტერი, პროექტორი და სმარტდაფა. ლაბორატორიაში არ არის სველი წერტილი და გამწოვი, თუმცა რეაქტივები არის. სკოლის დირექტორმა ინტერვიუირებისას განმარტა, რომ ამ ოთახის წყლით უზრუნველყოფა ტექნიკურად შეუძლებელია და აპირებს ლაბორატორიის სხვა ოთახში გადატანას, რომელსაც გარკვეული სამუშაოები დასჭირდება, ამიტომ გადატანა ვიზიტის პერიოდისთვის ვერ მოესწრება და დაგეგმილია სამომავლოდ. სკოლამ წარმოადგინა ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაციის ნაწილი, რადგან დოკუმენტაციის ნაწილი წაღებული აქვს ყოფილ ბუღალტერს, რომელსაც სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ აბრუნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ინტერვიუ დირექტორთან; ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაწილი არ იყო წარმოდგენილი. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, ლაბორატორიის კომპლექტი შეძენილია 2011 წელს. ამის ამსახველი დოკუმენტაცია თან წაიღო სამსახურიდან გათავისუფლებულმა ბუღალტერმა. სკოლის დირექტორმა მას რამდენჯერმე მიმართა წერილით ამ და სხვა დოკუმენტაციის დაბრუნების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. თანდართულ დოკუმენტად წარმოდგენილია ამ წერილის ასლი - დანართი 9.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სადუნი“ უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის (სს თელასი), წყლის (შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) უწყვეტი მიწოდებით. სასკოლო ფართის გათბობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. სკოლისთვის გაზის მიწოდება ხდება საქალაქო ქსელიდან „თბილისი ჯორჯია ენერჯის“ მიერ. სკოლაში სართულებზე არის 2-2 სველი წერტილი ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის, და სველი წერტილები პერსონალისათვის. გოგონების ტუალეტის ერთი კაბინა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ექვს საკლასო ოთახს კი აქვს ინდივიდუალური სველი წერტილი. საკლასო ოთახები ნათელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; გადახდის ქვითრები.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სადუნის“ ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის 1-ელ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში. წიგნადი ფონდი მოთავსებულია თაროებზე. ბიბლიოთეკას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა. იგი მთლიანობაში მოიცავს 4106 ერთეულს. მათ შორისაა ქართული, რუსული და ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა; სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა. სკოლას გამოწერილი აქვს შემდგი პერიოდული გამოცემები: „ახალი განათლება“, “National Geographic” და „ისტორიანი“. წიგნადი ფონდი და პერიოდიკა აღრიცხული და დამუშავებულია ელექტრონულ კატალოგში “Open Biblio” https://www.saduni.ge/openbiblio/home/index.php. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნის გაცემა ხდება სამკითხველო ბარათების მეშვეობით. გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ელექტრონული კატალოგი - https://www.saduni.ge/openbiblio/home/index.php; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა, ის არ საჭიროებს ეტლით გადაადგილებას. მისთვის გამოყოფილია რესურს ოთახი, სადაც განთავსებულია სპეციალური ლიტერატურა და მატერიალური რესურსები სსსმ მოსწავლეებისათვის. ოთახში, აგრეთვე, გამოფენილია სსსმ მოსწავლის ნამუშევრები, არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი. სკოლის შესასვლელ კიბეებთან დევს მეტალისგან დამზადებული, მისადგმელი პანდუსი. ხოლო შენობის სართულებზე გადაადგილებისათვის სკოლას აქვს ხის ასაწყობი პანდუსი. პირველ სართულზე, გოგონების საპირფარეშოში არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული ერთი სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის სკოლაში არის სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: სმარტდაფა, პრინტერები, პროექტორები, კომპიუტერები (26 ერთეული), რომელთაგან კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 14, სამი კომპიუტერი ადმინისტრაციის თანამშრომლებთან (დირექტორებთან და საქმისმწარმოებელთან), თითო კომპიუტერი არის რეურსოთახში, საკონფერენციო დარბაზში, ბიბლიოთეკაში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში და კლასებში. სკოლის ვებ-გვერდია https://www.saduni.ge/ რომელზე განთავსებული ინფორმაცია (ვიზიტის პერიოდში) მწირია, საჭიროებს შევსებას და განახლებას. დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ამის მიზეზი საიტის შემქმნელი კომპანიის გაუქმება იყო. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისთვისთვის განკუთვნილი პერიოდის განმავლობაში, დაიწყო ინფორმაციის განახლება ვებ-გვერდზე.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხშირად განხორციელდეს ვებ-გვერდის განახლება და ასევე, ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. საკომუნიკაციო მიზანს ემსახურება სკოლის ელ-ფოსტაც: schoolsaduni@yahoo.com და ფეისბუქ გვერდი: სკოლა სადუნი / School Saduni https://www.facebook.com/saduni.ge/ სკოლაში არის ინტერნეტის, მათ შორის უკაბელო ინტერნეტის, წვდომის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვებ- გვერდი - https://www.saduni.ge/; ვიზუალური დათვალიერება ფეისბუქ-გვერდი - https://www.facebook.com/saduni.ge/ კომპიუტერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაწილი, არ იყო წარმოდგენილი. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, დოკუმენტაცია თან წაიღო სამსახურიდან გათავისუფლებულმა ბუღალტერმა. სკოლის დირექტორმა მას რამდენჯერმე მიმართა წერილით ამ და სხვა დოკუმენტაციის დაბრუნების თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. თანდართულ დოკუმენტად წარმოდგენილია ამ წერილის ასლი - დანართი 9.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა კვამლის დეტექტორებით, საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, მოწყობილია სახანძრო ონკანი. სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელშიც უსაფრთხოების სხვა მექანიზმებთან ერთად მოცემულია სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, სახანძრო ჯგუფის შემადგენლობა და მათი ფუნქციები როგორც მშვიდობიან, ასევე ექსტრემალურ პირობებში. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა შემოწმებულია სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, რომელთა მიერ შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასახორციელებელი ღონისძიებების გეგმა, რომელსაც სკოლა ასრულებას ეტაპობრივად. ღონისძიებების ნაწილი სკოლამ უკვე შეასრულა და ნაწილი შესასრულებელი აქვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით; ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საევაკუაციო გეგმები შემუშავებულია სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მიერ და გამოკრულია განსაზღვრულ ადგილებში. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიხედვით, საგანგებო შტაბის ფარგლებში შექმნილია საევაკუაციო ჯგუფი, განსაზღვრულია ჯგუფის უფროსის ფუნქციები მშვიდობიან და ექსტრემალურ პირობებში ყოფნის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექიმი, აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარით: სამედიცინო ტახტით, სამედიცინო კარადით, ხელსაბანით, მაგიდითა და სკამით. კაბინეტში არის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. ექიმი აწარმოებს ავადმყოფების ჩაწერის წიგნს, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების წიგნს, მოსწავლეთა პედიკულიოზის შემოწმების წიგნს, კვების ბლოკის სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების წიგნს. სკოლას გაწერილი აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“, რომელშიც აღწერილია: ზოგადი დებულებები, ექთნის უფლებები და მოვალეობები, ექთნის სამუშაო, მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის წარმოების წესი, წამლების მიღება-შენახვა-გამოყენების წესი, სასწრაფო დახმარების აღმოჩენის წესი, მოსწავლის ავადმყოფობის შემდგომ სკოლაში დაბრუნებისთვის გასათვალისწინებელი ფაქტორები. შპს „სადუნის“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი სქემატური სახით გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიხედვით, საგანგებო შტაბის ფარგლებში შექმნილია სამედიცინო რეაგირების ჯგუფი. განსაზღვრულია ჯგუფის უფროსის ფუნქციები მშვიდობიან და ექსტრემალურ პირობებში მოქმედებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სამედიცინო აღრიცხვის წიგნები; ვიზუალური დათვალიერება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი უსაფრთხოების დაცვის წესები, რომელიც შეთანხმებულია სამინისტროსთან (2020 წლის 27 იანრის MES 3 20 00082219) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2020 წლის 4 თებერვალს N1-15 ბრძანებით. წესის თანახმად, სკოლის შენობის უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ დარაჯები და შპს „ალგანის“ თანამშრომლები, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას - დირექცია და დარაჯები. სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას, ასევე, უზრუნველოფენ კლასის მეთვალყურეები (დამრიგებლები). სასკოლო უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლის ეზო შემოღობილია რკინის ღობით. სკოლაში შესვლა წარმოებს ე.წ. ტურნიკეტის გავლით. ამისთვის სკოლის ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს აქვს ელექტრონული ბარათი, რომლის გამოყენებითაც ფიქსირდება სკოლაში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შესვლისა და გასვლის დროები. შესასვლელთან ყოველთვის იმყოფება დაცვის თანამშრომელი. მშობლები განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამ ფაქტის გამო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები; სკოლის დირექტორის მიერ 2020 წლის 4 თებერვალს N1-15 ბრძანება; სამინისტროს 2020 წლის 27 იანვრის MES 3 20 00082219 წერილი; ვიზუალური დათვალიერება; ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მთავარ და სათადარიგო შესასვლელზე დაყენებულია 2-2 უსაფრთხოების კამერა. კამერები აკონტროლებს სკოლის გარე, შესასვლელებთან არსებულ ტერიტორიებს. მათი ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამება მოთხოვნილ პარამეტრებს. გარდა ამისა, სკოლის შიდა, ეზოს ტერიტორიას, შენობის გარშემო სრული დაფარვით, აკონტროლებს 12 კამერა. ასევე, შენობის შიგნით, დერეფნებს - 21 შიდა კამერა. კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე, დაცვის სამსახურის სამუშაო ოთახში და მუდმივი დაკვირვების ქვეშაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაწილი არ იყო წარმოდგენილი. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, დოკუმენტაცია თან წაიღო სამსახურიდან გათავისუფლებულმა ბუღალტერმა. სკოლის დირექტორმა მას რამდენჯერმე მიმართა წერილით ამ და სხვა დოკუმენტაციის დაბრუნების თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. თანდართულ დოკუმენტად წარმოდგენილია ამ წერილის ასლი - დანართი 9.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სადუნს“ შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი სკოლის წესდება, თანამდებობრივი ინსტრუქციების განმსაზღვრელი დოკუმენტები, შინაგანაწესი, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, საქმისწარმოების წესი, კათედრის მუშაობის პრინციპი და ბიბლიოთეკის დებულებები, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პედსაბჭოს დებულება, შეფასების ჯგუფის დებულება. სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „სადუნის“ წესდება; შპს „სადუნის“ სკოლის შინაგანაწესი; შპს „სადუნის“ სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა „სადუნში“ შემუშავებულია 2016-2022 სასწავლო წლების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. 2019-2020 სასწავლო წლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზის საფუძველზე. გეგმაში გათვალისწინებულია სკოლის საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებით. როგორებიცაა: • სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, ორგანიზაციული განვითარება, • სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება, • სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, • ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია, • სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა, • სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, • უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, • მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, • მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, • ჯანსაღი სკოლის კონცეფცია,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• სწავლებისა და აღზრდის საქმეში წახალისების სისტემის დანერგვა, • თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება. დოკუმენტში გაწერილია აქტივობების განხორციელების პერიოდი და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების ვინაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „სადუნის“ სკოლის 2016-2021 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; შპს „სადუნის“ სკოლის 2019-2020 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალოებები გაწერილია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საქმისმწარმოებლის თანამდებობრივ ინსტრუქციაში. იგი: • აწარმოებს სკოლის მოსწავლეთა ბრძანებების ანბანურ წიგნს; • აწარმოებს შემოსული და გასული კორესპოდენციების რეგისტრაციას, დანიშნულებისამებრ გადაცემა/დაგზავნას;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• აწარმოებს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); • პასუხისმგებელია აცნობოს ან ჩააბაროს დაინტერესებულ პირს ბრძანება და ხელი მოაწერინოს მასზე. პასუხისმგებელია სკოლის არქივის დაცვაზე; • გასცემს ინფორმაციას სკოლაში შემოსული კორესპოდენციების შესრულებასა და გასული კორესპოდენციების დაგზავნის მდგომარეობაზე. სკოლაში წარმოებულია: საერთო ბრძნებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა ბრძნებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის სარეგისტარციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭედითა და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; საქმისწარმოების წესი; სარეგისტრაციო ჟურნალები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. ფიზიკურად გაიმიჯნოს ბაღისა და სკოლის შიდა ფართები, უსაფრთხოების გაზრდის მიზნით; 2. ვებ-გვერდზე სისტემატურად დაიდოს განახლებული ინფორმაცია.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სადუნში“ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით, ირიცხება 414 მოსწავლე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი, მათ შორის: 47 მასწავლებელი, 16 ქოუჩი-კლასის მეთვალყურე და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. შპს სადუნს ჰყავს გენერალური დირექტორი, დირექტორი, დირექტორის 3 მოადგილე, ადმინისტრატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, იურისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მზარეული, მზარეულის 5 დამხმარე, 6 დამლაგებელი, 2 დარაჯი და მეეზოვე; სკოლას ბუღალტრულ მომსახურებას უწევს შპს „ნექსია თი ეი“. სკოლის ადამიანური რესურსი შეესაბამება და საკმარისია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო ბაზა; მასწავლებლების მართვის საინფორმაციო ბაზა; შპს „სადუნის“ 2019-2020 წლის საშტატო ნუსხა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	47
მოწვეული/მაძიებელი	1/3
პრაქტიკოსი მასწავლებლი	19
უფროსი მასწავლებლი	22
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს რომ სკოლაში მომუშავე მასწავლებლები თავისი კვალიფიკაციით შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს, ყველა მასწავლებელს აქვს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა; თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში შემუშავებულია თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები მიიღებიან კონკურსის წესით, სხვა თანამშრომლები კი - დირექტორთან გასაუბრებით. სკოლაში მიღებულ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	და დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. შინაგანაწესით განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგინოს პირმა სამსახურში მიღებისას. თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები. შინაგანაწესში ასევე განსაზღვრულია წახალისების ფორმები და პირობები. წახალისების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი. ერთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წახალისების რამოდენიმე ფორმა. დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი. განსაზღვრულია დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები, ვადები, პირობები, დისციპლინური სახდელის დადების დაუშვებლობის პირობები, ვადაზე ადრე მოხსნის პირობები, დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების სახეები. დისციპლინური სახდელები შეიძლება დაეკისროს არარიგითობით, დისციპლინური გადაცდომის სახისა და სიმძიმის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „სადუნის“ სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო დრო და ადგილი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის განმაპირობებელი ფაქტორები, დასკვნითი დებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	თანამშრომელთა ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს: ერთი, როდესაც სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე და მეორე, როდესაც თავად მასწავლებელია თავისი პროფესიული განვითარებით დაინტერესებული. პირველი მიმართულებით, უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე, სკოლას შესყიდული აქვს რამდენიმე სატრენინგო მომსახურეობა. რაც დასტურდება სკოლის მიერ გადარიცხული საგასახადო საანგარიშსწორებო საბანკო ქვითრებით. გარდა ამისა, გაკვეთილზე დასწრება და შემდეგ მოსმენილი გაკვეთილის გაანალიზება და პედაგოგისთვის განმავითარებელი შეფასების მიცემა ასევე ემსახურება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. მეორე მხრივ, რადგან პედაგოგები ჩართული არიან პროფესიული განვითარების სქემაში, ისინი ახორციელებენ სქემით განსაზღვრულ აქტივობებს, აგროვებენ კრედიტებს და იმაღლებენ სტატუსს, ანუ პროფესიულად ვითარდებიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ტრენინგის შესყიდვის საბანკო გადარიცხვები; გაკვეთილზე დასწრების და ანალიზის ფორმები; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პორტფოლიოები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ვიზიტის პერიოდისთვის, სკოლაში შექმნილია დადებითი ატმოსფერო. სკოლა ახორციელებს ისეთ ინტეგრირებულ პროექტებს, რომლებშიც სასკოლო საზოგადოების ყველა ფენას ეძლევა ჩართვის შესაძლებლობა. პროექტები ხშირად სცილდება სკოლის კედლებს და ხორციელდება სხვადასხვა თეატრის სცენაზე. ასეთი პროექტები იყო, მაგალითად: თუმანიშვილის სახელობის თეატრში თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი საღამო; ოთარ ჭილაძის შემოქმედებითი საღამო, ბესიკ ხარანაულისა და ტარიელ ხერხელაურის შემოქმედებითი საღამო, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო საგურამოში, „ცისფერყანწელების“ შემოქმედებითი საღამო კულტურის ცენტრ „მუზაში“ და მრავალი სხვა. გარდა ამისა, ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა ჩანდა ვიზუალურად და გამოჩნდა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ფოკუს-ჯგუფის დროს. მშობლები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ მათი შვილები საიმედო ხელშია და აქ რომ არ იყოს დაცულობის შეგრძნება და კეთილგანწყობილი გარემო, ნამდვილად არ გადაიხდიდნენ სწავლის გადასახადს და არც ბაგა-ბაღის დამთავრების შემდეგ გააგრძელებდნენ სკოლასთან ურთიერთობას. ასეთივე აზრის იყვნენ მოსწავლეები და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მასწავლებლები. ფოკუს ჯგუფის დროს ექსპერტების მხრიდან აქცენტი კეთდებოდა ისეთი საკითხის გამოსარკვევად, როგორიცაა: დისკრიმინაცია, ბულინგი (სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დონეზე) და სხვა ასეთი კონფლიქტური საკითხები. რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ ასეთი სიტუაციები სკოლაში არ ხდება. საგულისხმოა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები შერჩეული იყვნენ ექსპერტთა მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და არა სკოლის მიერ, როგორც მისთვის „სასურველი რესპოდენტები“. ექსპერტების მხრიდან ინტერვიუირებისას ბულინგსა და დისკრიმინაციაზე აქცენტი გაკეთდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულ (22.01.2020, N62577 და 27.01.2020 N**80081**) წერილებში ასახული ფაქტების გადასამოწმებლად და იმ გარემოებათა გამო, რაც ცნობილი გახდა ვიზიტისას. კერძოდ, რომ სკოლის ყოფილმა ბუღალტერმა სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, სამსახურიდან გაიტანა და უკან აღარ აბრუნებს ბუღალტრულ დოკუმენტაციას და ამის გამო სკოლამ ვერ წარმოადგინა გარკვეული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საქმის გარემოებათა გარკვევისას დადგინდა, რომ 2017 წლის 28 დეკემბერს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისა და ბუღალტრული დოკუმენტაციის არასწორად და დარღვევით წარმოების გამო, სამსახურიდან გათავისუფლდა **(იხ. დანართი - გათავისუფლების ბრძანება)** შპს „სადუნის“ ბუღალტერი (რომელიც შპს „სადუნის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის შვილია), ხოლო მოგვიანებით, 2018 წლის აგვისტოში, ორგანიზაციული ცვლილებების გამო, რომლის დროსაც ორ ათეულამდე საშტატო თანამდებობა გაუქმდა **(იხ. დანართი - ბრძანება რეორგანიზაციის შესახებ)**, გათავისუფლდნენ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პიროვნებები (3 საშტატო ერთეული), რომლებსაც ნათესაური კავშირი ჰქონდათ „სადუნის“ დამფუძნებელთან, ან თავად იყო დამფუძნებელი. მხარეებს შორის დავის წარმოშობის საფუძვლები ფინანსური ხასიათისაა და ის სცილდებოდა ექსპერტებისთვის განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 თებერვლის N141689 ბრძანებით მინიჭებულ უფლებამოსილებასა და ექსპერტთა კომპეტენციის ფარგლებს. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გათავისუფლების ბრძანება - დანართი 10; რეორგანიზაციის ბრძანება - დანართი 11; ინტერვიუები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

X. თანდართული დოკუმენტაცია

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს MES 71701160084 წერილი - დანართი 1, 1 ფურცლად;
2. განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 30 ივლისის MES 9 19 00999607 წერილი - დანართი 2, 1 ფურცლად;
3. განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 26.08.2019 წლის MES 9 19 01086096 წერილი წერილი - დანართი 3, 1 ფურცლად;
4. შემაჯამებლი დავალების ანალიზი - დანართი 4, 8 ფურცლად;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - დანართი 5, სამ ფურცლად;
6. საკადასტრო გეგმა - დანართი 6, ერთ ფურცლად;
7. შიდა აზომვითი ნახაზი - დანართი 7, სამ ფურცლად;
8. ფართების გამიჯვნის ბრძანება 21.06.2016 N1-616 - დანართი 8, ერთ ფურცლად
9. სკოლის წერილი ყოფილ ბუღალტერს - დანართი 9, ერთ ფურცლად
10. ბუღალტრის გათავისუფლების ბრძანება - დანართი 10, ერთ ფურცლად;
11. რეორგანიზაციის ბრძანება - დანართი 11, თერთმეტ ფურცლად;
12. ავტორიზაციის ექსპერტებტან სამუშაოდ ჯგუფის გამოყოფის შესახებ ბრძანება - დანართი 12, ერთ ფურცლად.

თბილისი 05.03.2020 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 62

62

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.